



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ბრძანება

N03/270

05 / სექტემბერი / 2016 წ.

ქ.თბილისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 23 თებერვლის N3/46 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N197 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების თანახმად.

ვბრძანებ:

1.„უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 23 თებერვლის N3/46 ბრძანების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ბრძანების დანართში „თელავის რაიონი“ შეტანილი რიგითი ნომერი 167 „ქ. თელავი, ჭავჭავაძის (ილია) გამზირი N100“, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „ქ. თელავი, ჭავჭავაძის (ილია) გამზირი N98“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა, ხოლო სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების შეტანა;

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერის დღიდანვე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, შავლე ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრი

მიხეილ გიორგაძე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის
2016 წლის 05 სექტემბრის N 03/270 ბრძანების დანართი

167	საცხოვრებელი სახლი	XIX ს. შუა წლები	ქ. თელავი, ჭავჭავაძის (ილია) გამზ. N98
-----	--------------------	------------------	--